საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნინო სანდოძე?
დიახ (✓)   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - ნინო სანდოძის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N1/141 განკარგულების საფუძველზე შერჩევის პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო სანდოძე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით კანდიდატთა, მათ შორის ნინო სანდოძის, შესახებ მოძიებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია. გარდა ამისა, ამავე ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტების შესაბამისად ჩატარდა კანდიდატების საჯარო მოსმენა.

ზემოაღნიშნული პროცედურების შეჯამების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნტის შესაბამისად კენჭი უყარა კანდიდატებს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინებით საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინა 9 კანდიდატი. 2021 წლის 12 ივლისს კი პარლამენტმა რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა ზემოაღნიშნულ კანდიდატებს, რის შედეგადაც, მხარი დაუჭირა მხოლოდ ექვს კანდიდატს: რევაზ ნადარაიას, ბიძინა სტურუას, გოჩა აბუსერიძეს, ლაშა ქოჩიაშვილს, გიორგი გოგიაშვილსა და ლევან თევზაძეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს პარლამენტი ვერ აირჩევს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ კანდიდატებს, ამავე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატებად

რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული კანდიდატებიდან შეირჩევა იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს, და ისინი ამავე მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. შესაბამისად, 2021 წლის 4 ნოემბრის N1/182 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი: **თეა ძიმისტარაშვილი**, **ნინო სანდოძე** და **თამარ ოქროპირიძე.**

ზემოაღნიშნულ კონკურსში რეგისტრირებულ კანდიდატთა, მათ შორის, **ნინო სანდოძის,** სრულფასოვანი შეფასების მიზნით საფუძვლიანად შევისწავლე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომები. აგრეთვე, 2021 წლის 29 იანვარს **ნინო სანდოძესთან** გამართული საჯარო მოსმენის ანალიზის შედეგად გავითვალისწინე კანდიდატის მიერ გამოვლენილი კომპეტენცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები და მივიჩნიე, რომ მას გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება, ქცევა, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ **ნინო სანდოძე** ღირსეულად, სათანადო პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2021 წლის 12 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე **ნინო სანდოძის** წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

12 ნოემბერი 2021 წელი